მაია ნიკურაძე, მერი მესხია, ნინა პირტახია, თამარ თელია, ნათია ხუსკივაძე, მაია ბოლათაევა, გიორგი იაშვილი, ვლადიმერ სვანაძე

სოფიას ტექნიკური უნივერსიტეტი, ბულგარეთი

25–29 მაისს, Erasmus+ პროგრამის ფარგლებში განხორციელებული მობილობის ფარგლებში, კავკასიის უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს აკადემიურ, საგანმანათლებლო და კულტურულ აქტივობებში, რომლებიც საერთაშორისო კვირეულის ფარგლებში გაიმართა სოფიას ტექნიკურ უნივერსიტეტში, ბულგარეთში.

საერთაშორისო კვირეულის პროგრამის ფარგლებში, კავკასიის უნივერსიტეტს წარმოადგენდნენ სტუდენტთა მომსახურებისა და სასწავლო პროცესის მონიტორინგის დეპარტამენტის დირექტორი მაია ნიკურაძე, მთავარი ბუღალტერი მერი მესხია, შერჩევის მიმართულების ხელმძღვანელი ნინა პირტახია, სტუდენტთა მომსახურებისა და სასწავლო პროცესის მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსი მენეჯერი ნათია ხუსკივაძე, საერთაშორისო პროექტების მენეჯერი თამარ თელია, კომპენსაციების და ბენეფიტების მენეჯერი მაია ბოლათაევა, პროფესორი გიორგი იაშვილი და პროფესორი ვლადიმერ სვანაძე.

საერთაშორისო კვირეულს დაესწრო 15 უნივერსიტეტის 50-ზე მეტი წარმომადგენელი სხვადასხვა ქვეყნიდან. პროგრამა მოიცავდა შეხვედრებს, პრეზენტაციებსა და სამუშაო სესიებს რომელთა ძირითადი მიზანი იყო სხვადასხვა ქვეყნის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებს შორის პროფესიული კავშირების დამყარება, გამოცდილების გაზიარება და სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივების განხილვა.

აღნიშნული ვიზიტის მიზანი იყო საერთაშორისო კვირეულის ფარგლებში, მონაწილე უნივერსიტეტებს შორის გამოცდილების და პრაქტიკის გაზიარება და თანამშრომლობის გაღრმავება.